# ახალი სხივი

ოთხშაბათი, 3 მარტი 1910 წ. № 23

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი  წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ... წლიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი ს  ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე —10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი  შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ახალი სხივი“**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გ ა ზ ე თ ი  ღ ი რ ს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხ ე ლ ი ს  მ ო წ ე რ ა  მ ი ი ღ ე ბ ა: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ქიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცხოველისთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

## სახაზინო თეატრი

ო რ ი  ლ ე ქ ც ი ა

ა. ნ. ლ ი ს ო ვ ს კ ი ს ა

| | |
|---|---|
| ოთხშაბათს 3 მარტს<br>**კოლლექტივიზმი**<br>(რუსული ლიტერატურა)<br>განყ. I-ლი<br>მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის და ევროპის ლიტერატურა და ცხოვრება.<br>განყ. მე-2<br>კოლლექტივიზმი **გორკის** და **ანდრეევის** შემოქმედებაში | განყ. მე-3.<br>პიროვნების პროტესტი „**სანინი**“ არციბაშევისა.<br>დასაწყისი საღამოს 8 საათზე ● ფასები ძლიერ დაკლებულია—20 კ-დან 2 მ-დე.<br>დაწვრილებით პროგრამებში<br>4-ს, 5-ს, 6-ს, და 7 მარტს ა. ლისოვსკი წაიკითხავს ლექციებს ქუთაისში. |

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარდა მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე მ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.
**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.
**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.
**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.
**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,
**სობოლევსკი ბ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—89)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

**ექ. ს. ფაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.
**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.
**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.
**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.
**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.
**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.
**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—89)

კბილის ექიმი
**რომანიშვილი—დგებუაძისა**
იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.
ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის
**„ცინკოგრაფია“**
იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.
**ადრესი: თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში.** (0—9)

კბილის ექიმი
**ი. შ. ჭანტურია**
იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.
კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

კბილის ექიმი
**ს. ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე**
დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

ამით საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ყოვლად საუკეთესოთ და უტყუარათ ცნობილი
**პასხალიდის აბრეშუმის თესლი**
როგორც გასულ წლებში, ისე წელსაც მინდობილი აქვს **გასასყიდათ ფაბრიკისავე დადგენილ ფასებში**
**მათე გაბრ—ს-ძე რუსიძის კანტორას**
**ქ. ბათუმში,** მარიინსკის პროსპ. სახ. **№ 10** (15—7)


## სახელმწიფო დუმა

(სააგ. დეპ.)

**1 მარტი.**

თავმჯდომარეობს ხომიაკოვი. განაგრძობენ იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

**ზამისლოვსკი** აღნიშნავს, რომ გოდნევმა მძიმე დანაშაულობა წამოუყენა მთავრობას, თითქო მას სახელმწიფოებრივი სიყალბე ჩაედინოს ძირითად კანონების შესაცვლელათ და განეზრახოს საკანონმდებლო დაწესებულებების უფლების წართმევა. ორატორის აზრით გოდნევის ბრალდებები ყოველივე საფუძველს მოკლებულია. მემარცხენე ორატორებს წინააღმდეგ ზამისლოვსკი ამბობს, რომ სასამართლოებში არევ-დარევა სამინისტროს კი არა, დამცველებს შეაქვთ (მარჯვნით ტაშის ცემა).

**როდიჩევი** ამტკიცებს, რომ იუსტიციის სამინისტროსთვის მართლ-მსაჯულება „ვევესკათ“ გარდაიქცა, ნამდვილათ კი, მისი მიზანია პოლიტიკური ბრძოლა. ორატორი აფრთხილებს, რომ ხალხის მიერ სასამართლოსადმი ნდობის დაკარგვა ნაციონალური უბედურებაა. მას მოყავს „ნოვოროსიის რესპუბლიკის“ საქმე და ამტკიცებს, რომ სამინისტრო ცდილობს სიმართლე დამალოს. ამით ნდობას უკარგავს სასამართლოს და ნიადაგს უმზადებს თვით-ნებობას (მარცხნით ტაშის ცემა) დუმის ხმას—ათავებს ორატორი—მნიშვნელობა უნდა ქონდეს მოსამართლეებისათვის, რომლებიც მძიმე საქმეს ასრულებენ მართლ-მსაჯულების ჭეშმარიტ სამსახურისათვის.

**მარკოვი** მე-2 თანახმაა ზამისლოვსკის, რომ სასამართლოში არევ-დარევა დამცველებს შეაქვთ. ისინი დამნაშავეებს ეხმარებიან (ხმები მარჯვნიდან: „მართალია“) დამცველებზე გამხრწნელი გავლენა აქვთ ებრაელ ადამიანთა წინააღმდეგ სექტას.

**ბარ. მეიენდორფს** მოყავს „იუსტიციის სამინისტროს ჟურნალ“-ში მოთავსებული ლოზინო ლოზინსკის წერილი და ამტკიცებს, რომ კოდიფიკაციური დაწესებულებები ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. დასასრულ დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის გამოანგარიშებით.

**ვოიეკოვი** მე-2 მოხსენებას აკეთებს სატუსაღოების ხარჯთ აღრიცხვის შესახებ. იუსტიციის სამინისტროს გამოანგარიშებით 31,731, 940 მანათი, კომისიას შეუმცირებია 1,234,923 მანათით.

სატუსაღოთა მთავარ გამგეობის უფროსი წინააღმდეგია ხარჯების შემცირების.

**კუზნეცოვი** ამტკიცებს, რომ თანამედროვე დანაშაულობა კლასობრივი სახელმწიფოს წარმოშობილია და რეპრესიებს არ შეუძლია მისი მოსპობა. მისი მოსპობა შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ წეს-წყობილებას. რუსეთში სხვა მიზეზებს გარდა დანაშაულობის გავრცელებას ხელს უწყობენ ბატონყმური ნაშთები. მეორე მხრით მთავრობის შურისძიების წყალობით სატუსაღოები განმათავისუფლებელ ბრძოლის მონაწილეებით ივსება. დასასრულ ორატორი აცხადებს, რომ ს.-დემოკრატები სატუსაღოების ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემენ ხმას. (უკიდურესი მემარცხენენი ტაშს უკრავენ).

**ანტონოვი** წინადადებას იძლევა ააშენონ ცენტრალური სატუსაღოების მთელი რიგი.

**გერასიმოვი** აღნიშნავს სატუსაღოების ანტისანიტარულ მდგომარეობას. მთავრობა სატუსაღოებს ისე უყურებს, როგორც შურისძიების იარაღს. ორატორი კრიტიკას უკეთებს სატუსაღოთა მთავარ გამგეობის ცირკულიარს, რომლითაც ციხის უფროსებს ავალებენ ტუსაღებს თოფები ესროლონ (მარცხნით ტაშის ცემა). სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია ორ მარტს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**2 მარტი.**

### სპარსეთი

**თავრიზი.** სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი მთავრობამ თეირანში მიიწვია, მაგრამ მათ უარი სთქვეს წასვლაზე.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ ბალკანეთის სახელმწიფოებთან მშვიდობიანი განწყობილება მყარდება. ამის დამამტკიცებელია მეფე ფერდინანდის და პეტრეს მისვლა სტამბოლში.

ოპოზიციის კანდიდატი ვეზირის ადგილზე ქიამილ-ფაშა მძიმე ავათ გახდა.

### საზღვარ-გარეთ

**ლონდონი.** დაიჭირეს პარიზიდან მოსული ინდოელი სტუდენტი სფარკარი. აბრალებენ აჯანყებისთვის აგიტაციას.

**ბუდაპეშტი.** იუსტის პარტია სერბიის რადიკალებს შეუთანხმდა არჩევნების დროს ვენის წინააღმდეგ იბრძოლონ. გრაფმა სტეფანე ტისსმა ამაში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ საჭიროა მადიარები სხვა ერებს შეუთანხმდენ. მან გაჰკიცხა მთავრობის მოქმედება.

**ვენა.** „კორრ. ბიურ.“-ს სოფიიდან დეპეშით ატყობინებენ: რუშჩუკში სისხლის ღვრა მოხდა. შეტაკება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ დაებრუნებიათ მშობლებისთვის ოსმალელი ქალი, რომელიც მის საყვარელ ბულგარელთან იყო გაქცეული. მოკლულია 17, ხოლო დაჭრილი 32 კაცი. ბულგარელი და მისი საყვარელი ოსმალელი ქალი რუმინიაში გაიქცენ.

**ბერლინი.** „ლოკ. ანცაიგ.“ ატყობინებენ ათინიდან: თესალიაში ხალხი ძლიერ აღელვებულია. მოხდა დიდი კრებები მთავრობის განკარგულების წინააღმდეგ თესალიის მემამულეთა შესახებ. კარგიცში სახალხო მატარებელს თავს დაესხა შეიარაღებული ხალხი. დაიჭრა მემანქანე და მისი თანაშემწე, ორთქლმავალი დაიმტვრა, საქონელი გაიტანეს. დრაგუნისმა განუცხადა თესალიის გლეხთა დეპუტაციას, რომ მთავრობას შეუძლია მხოლოდ იყიდოს რამდენიმე ნაჭერი მიწა. კარამასში საერო სკოლების წინააღმდეგ მიტინგის შემდეგ კათოლიკებს და მათ მოწინააღმდეგებს შეტაკება მოუვიდათ. პოლიცია ჩაერია. დაიჭირეს რამდენიმე კაცი.

### რუსეთი

**პლოცკი.** პარტიულ ნიადაგზე სასიკვდილოთ დასჭრეს მუშა ხარატი. მკვლელი დაიჭირეს.

**ვარშავა.** პოკორნი ქუჩაზე მეწვლის ბინაზე ყუმბარა აფეთქდა. არავინ დაშავებულა.

**იშიმი.** გაძარცვის გულისთვის უსტკამენსკის მაზრაში ამოხოცეს მდიდარი გლეხის ოჯახი: ქმარი, ცოლი და ქალიშვილი. მკვლელები დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს ჟურნალ „ობრაზოვანიე“-ს პირველი ნომერი.

**ვოლოგდა** რეალურ სასწავლებელში ყუმბარა აფეთქდა. დაიმტვრა ფანჯრები.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** დაიჭირეს სამი მძარცველი, რომლებმაც პარზარასში ეკკლესია გაძარცვეს.

**ტროიცკოსლავი.** გადაიმალა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი ურლუკი. გაუფლანგავს 30,000 მანეთი.

## ძველი ცხოვრების ნაშთი.

—

ჟურნალ Совр. Міръ-ის თებერვლის ნომერში მოთავსებულია გ. გოლდბერგის საინტერესო წერილი ურალის კრიზისის შესახებ. ავტორის მიერ მოყვანილი ცნობები ნათელს ყოფენ იმ გარემოებას, თუ როგორ ეღობება წინ ძველი რეჟიმი ქვეყნის ეკონომიურ წარმატებას, როგორ უთხრის იგი ძირს საწარმოვო ძალების ზრდა-განვითარებას და როგორ აუტანელ გაჭირვებას აყენებს მშრომელ მასსას თითო ოროლა პირების სასარგებლოთ. ამიტომ ურიგო არ იქნება ჩვენ მკითხველებსაც გავუზიაროთ ავტორის მიერ მოყვანილი ცნობები და მოკლეთ გავაცნოთ ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ურალის რაიონში, ამ ბუნებით მდიდარ მხარეში მრეწველობის სრულიად განადგურება და არა ერთი და ორი ათასი მუშის ოჯახის ულუკმაპუროთ დატოვება.

კვირა არ გაივლის ისე, რომ სატახტო ქალაქის გაზეთებში არ ამოიკითხოთ ცნობა: დაიხურა ესა და ეს ურალის დიდი ქარხანა, დარჩა უსაქმოთ ამდენი და ამდენი ათასი მუშა ხელი და სხვ. დახურული ქარხნების მუშები ხშირათ მიმართავენ მთავრობას დახმარებისათვის, მარა ამაოთ.

რამ გამოიწვია ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობა ურალის სამრეწველო რაიონში?

მრეწველობის კარგი მდგომარეობით, რასაკვირველია, ვერც სხვა რაიონები დაიკვეხნიან რუსეთში ... თავის დღის აჩნევს და სულს უხუთავს მრეწველობას, მარა ის, რაც დღეს ურალის სამრეწველო ცხოვრებაში ხდება, შეადგენს ამ კუთხის განსაკუთრებულ მოვლენას. მაგალითად, რომ შევადაროთ ერთი-მეორეს სამხრეთისა და ურალის რაიონების მეტალურგიის განვითარება დავინახავთ შემდეგ მოვლენას: დაწყებული 1900 წლიდან, როცა რუსეთში დაიწყო საერთო კრიზისი ურალის ქარხნებში ყოველ წლიურათ თუჯის დამუშავება 50 მილიონი ფუთიდან 35 მილიონ ფუთამდე ჩამოსულა 1908 წელს; ამავე ხნის განმავლობაში სამხრეთის რაიონში თუჯის დამუშავება 90 მილიონ ფუთიდან 117,4 მილ. ფუთამდე ასულა. რასაკვირველია ამ ხნის განმავლობაში სამხრეთ რაიონის წარმოებაც ხან ძირს ეშვებოდა, ხან ზევით იწევდა, მარა, როგორც მკითხველი ხედავს, საერთოთ 8 წლის განმავლობაში იქ მადნის დამუშავებას უმატნია 27,4 მილ. ფუთით, ხოლო ურალში დაუკლია 15 მილ. ფუთით პირველში განვითარება თუმცა „ზიგზაგით“, მარა მაინც ზევით-ზევით მიდის, მეორეში კი თავდაყირა დაშვებული სულ ქვევით-ქვევით მიექანება. მომავალი მას სრულ განადგურებას უქადის.

ურალის მრეწველობის განვითარების ისტორია მოკლეთ ასეთია. ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში დაარსდა იქ დიდი ქარხანა, მარა საქარხნო მრეწველობის განვითარებამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია პეტრე დიდის დროს. მთავრობას ესაჭიროებოდა სამხედრო მასალები. ამიტომ ხაზინის ხარჯზე შენდებოდა ქარხნები, რომლებსაც შემდეგ აძლევდნენ კერძო პირებს; ამათვე ეძლეოდათ უზარმაზარი ტყეები და მთელი სოფლები, რომლებიც, როგორც ყმები, ვალდებული იყვნენ ემუშავათ ქარხანაში. ქარხნის პატრონები მოქმედებდენ დამოუკიდებლათ ადგილობრივ მთავრობისგან; მათ ყავდათ თავიანთი პოლიცია და სასამართლო. კერძო პირების ხელში გადაცემა ქარხნებისა და მამულების არც პეტრეს შემდეგ შეწყვეტილა და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ მთელი კუთხე რამდენიმე წარჩინებული პირების ხელში დარჩა. ეს პირები უმთავრესათ ეკუთვნიან ადგილობრივ მემამულეების გვარეულობას. ამნაირათ ხაზინა მათ აძლევდა ქარხნებს, მუშა-ყმებს, ტყეებს და მადნებს. ამ უკანასკნელებს მხოლოდ უნდა ეწარმოებიათ. სხვადასხვა ბუნებრივი პირობების გამო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ აქ ბევრი ტყე იყო, მეთვრამეტე საუკუნეში მადნეულობის დამუშავება ისე გაიზარდა ურალის მხარეში, რომ იგი მაგ., იმდენ რკინას ამზადებდა, რამდენსაც მთელი დანარჩენი ქვეყანა. მარა მეთვრამეტე საუკუნის ბოლო ხანებში გამოიგონეს ქვის ნახშირის შემწეობით რკინის მომზადების საშვალება, რამაც ერთბაშათ შესცვალა ურალის მონოპოლიური მდგომარეობა საერთაშორისო ბაზარზე და ბოლოს სრულებით განდევნილ იქნა იქიდან. მარა მთავრობის დახმარება, დიდი საბაჟო გადასახადები საზღვარ-გარეთულ საქონელზე და სხვ., მაინც საშვალებას აძლევდა ურალის მრეწველობას მონოპოლიური ადგილი დაეჭირა შინაურ ბაზარზე და მართლაც, მიუხედავათ იმ ტეხნიკურ ცვლილებისა, რომელიც მოხდა მადნეულობის დამუშავების საქმეში და რომლებიც ურალს სრულებით არ მიჰკარებია, გასული საუკუნის მეორმოცე წლებში აქაური მრეწველების მოგება უდრიდა 81—164 პროცენტს,

მარა მეოთხმოცე წლებიდან ურალს უჩნდება კონკურენტები შინაურ ბაზარზე—ეს არის სამხრეთ რუსეთის სამთამადნო რაიონი, რომელიც შედარებით სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ და დღეს უკვე გაუსწრო მას.

წარმოების წესები ურალის ქარხნებში ძველის-ძველია; მადნების დამუშავება ... კანცელ...

საუკუნის დასაწყისში დატოვა, აქ ჯერ კიდევ ხელშეუხებელია. 1903 წელს შეკრებილი ცნობებით ურალის ქარხნის საწარმოვო ძალა 10 ჯერ ნაკლები იყო სამხრეთის ქარხნების საწარმოვო ძალასთან შედარებით. ერთი მკვლევარის გამოანგარიშებით, მაგ., ბელგიაში იმდენი მადნის დამუშავებას, რამდენსაც ეხლა ურალი ამუშავებს, უნდება 10,770 მუშა ხელი, აქ კი ნამდვილათ მუშაობს 154,884 მუშა, გარდა მაღაროს მუშებისა. ასეთი არაჩვეულებრივი მოვლენა მრეწველობაში, ასეთი ტეხნიკური ჩამორჩენა წარმოებისა შესაძლებელია მხოლოდ იმ განსაკუთრებული პირობების გამო, რომლებიც საუკუნოების განმავლობაში აქ შექმნა მთავრობამ. იაფი მუშახელის სიმრავლე და მრეწველობის დიდი სათადარიგო ჯარი მთავრობის მეცადინეობის ნაყოფი იყო და არის. ბატონ-ყმობის დროს გლეხკაცობა, როგორც ყმები მიწერილი იყო ქარხნებზე და ვალდებული იყო ემუშავა მებატონე-მექარხნის გასამდიდრებლათ. რუსეთში ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ აქ მემამულე-მექარხნების გავლენით შემუშავდა ისეთი წესი განთავისუფლებისა, რომელიც არსებითად ძველ ურთიერთობას ხელუხლებლათ ტოვებდა. ხსენებული კუთხის მცხოვრებნი გაყოფილი იქნენ ორ კატეგორიათ; პირველ კატეგორიაში უნდა შესულიყვენ ის პირები, რომლებიც ტეხნიკურ სამუშაოებს ასრულებდენ, ე. ი. ქარხნების და მაღაროების მუშები, მეორეში ისინი, ვინც დამხმარე როლს ასრულებდა და დრო გამოშვებით ქარხნების საქმეს აკეთებდენ, მაგ., ტყიდან შეშისა და სხვა მასალების გამომზიდველები და სხვა. ქარხნის მუშებს ეძლეოდათ მარტო სამოსახლო და სათივე მიწა, დანარჩენებს აგრეთვე სახნავ-სათესი მამულიც. მარა სხვა და სხვა ხრიკების შემწეობით ბევრი ქარხნების „სამფლობელოში“ სოფლის მუშები სულ არ „ალმოჩდა“. გლეხკაცობის ასეთი თავისებური განთავისუფლება საჭირო იყო იმისთვის, რომ ქარხნის პატრონებს ყოველთვის მზათ ყოლოდათ იაფი მუშა ხელი. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, უმეტეს ნაწილათ აქაური მექარხნეები იგივე მემამულეები არიან. ურალის მხარეში სულ დაახლოვებით 107 კერძო ქარხანაა. ყველა ეს ქარხნები 30 კერძო პირის და კამპანიის ხელშია. გრაფი სტროგანოვის ხელში, მაგ. 1,559,908 დესიატინა მიწაა, ეს მამული თავისი სივრცით აჭარბებს ზოგიერთ პატარა სახელმწიფოების ტერიტორიას. საზოგადოთ, თვითეულ მესაკუთრეს ურალის მხარეში უწევს 250 ათასი დესიატინა მიწა მაშინ, როცა სამხრეთში იმ ადგილებში, სადაც მეტალურგიული მრეწველობაა განვითარებული, თვითეულ მემამულეზე საშვალო რიცხვით მოდის 763 დესიატინა მიწა, ე. ი., 327-ჯერ ნაკლები. აი ამ მცირე ჯგუფის ინტერესებს ეწირებოდა და დღესაც ეწირება ხალხის ზურგიდან აგლეჯილი ხაზინის ქონება და ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები. ამ „კულტურულ“ ელემენტების გავლენა ბიუროკრატიაზე იმდენათ დიდი და სარგძნობია, რომ ყოველი „ახალი“ ზომა, შემოღებული საქმის გამოსაკეთებლათ, და ბოლოს აკანონებს არსებულ მდგომარეობას. ურალის „კაპიტალიზმი“, როგორც გოლდბერგი ამბობს, დღესაც ისეთია, როგორიც იყო იგი ამ ორი საუკუნის წინათ. ქარხნის პატრონები თავის წარმოებას უყურებენ ისე, როგორც საშუალო საუკუნის ფეოდალი უცქეროდა თავის მამულს. მექარხნის ერთად ერთი საზრუნავია რაც შეიძლება მეტი სარგებელი დაატოვებინოს თავის ქარხანას. ის სრულებით არ ზრუნავს ტეხნიკის გაუმჯობესებაზე. ან რათ იყო საჭირო ტეხნიკის გაუმჯობესება, როცა უამისოთაც მცონარე ცხოვრებას შეჩვეული მექარხნე-მებატონე კარგად სუქდება ნახევრათ მშიერი მუშების ზურგზე. ბატონყმობის მოსპობამ შეღავათიანი პირობები შექმნა არა მუშისათვის, არამედ მექარხნეებისათვის, ვინაიდან ბატონ-ყმობის დროს ამ უკანასკნელთა მოვალეობას შეადგენდა მთა-მადნის მცხოვრებთა გამოკვებაზე ზრუნვა იმის და მიუხედავათ, მუშაობდენ ისინი ქარხნებში თუ არა. ეხლა კი ისინი ასეთი მოვალეობისაგან თავისუფალი არიან, ხოლო რაც შეეხება მუშის მატერიალურ მდგომარეობას იგი ისეთივე დარჩა, როგორიც ბატონ-ყმობის დროს იყო. პატარა ეზოსა და სათივის შემწეობით მუშა მისულია ერთ ადგილას და იძულებულია იმუშაოს ადგილობრივ ქარხანაში რანაირი შრომის პირობებიც უნდა იყოს. 1898 წელს პერმის საგუბერნიო ერობის გამგეობამ მოახდინა სტატისტიკური გამოკვლევა, საიდანაც გამოირკვა, რომ სამუშაო აქვს მცხოვრებთა მხოლოთ **ერთ მეოთხედს**. 29 ქარხანაში წარმოების შეჩერების გამო ყველა მცხოვრები უსაქმოთ არის გაჩერებული, 6 ქარხანაში უმუშევრები შეადგენენ 90 პროც. 7 ქარხ. —80 პროც. 4 ქარხ.—70 პროც, 16—60 პროც. 15—30-40 პროც. 14—20 პროც. და 9 ქარხანაში—10 პროც. მარა ისინიც კი, რომელთაც სამუშაო აქვთ, ფაქტიურათ სანახევროთ უმუშევრები არიან. აქ განვითარებულია სისტემა ხშირი მორიგეობისა, უმუშევარი დღეების და სხვ. ასე რომ, მუშას დაბოლოს 6—4 ს სამუშაო დღე გამოუდის. ამას მიუმატეთ კიდევ მეტათ მცირე სამუშაო ხელფასი, რომელიც ასეთ პირობებში აუცილებელია და თქვენ წინ წარმოგიდგებათ სურათი მათხოვრული ცხოვრებისა. შრომის ასეთი ჯოჯოხეთური პირობები, რასაკვირველია, დღეს არ შექმნილა, იგი იმ თავითვე ასეთი იყო, ხოლო ახლანდელმა კრიზისმა ფარდა ახადა ყველა ამას და უფრო გაამწვავა მდგომარეობა. მუშათა მდგომარეობა ასეთივე იყო დაახლოვებით მაშინაც, როცა ურალის მრეწველობა „ყვაოდა“ თუ შეიძლება ასე ითქვას. დღეს კაპიტალისტური განვითარება შეებრძოლა ურალის ამ „თავისებურობას“. ეხლანდელი კრახი აქაური წარმოებისა, უზარ-მაზარი ქარხნების დაკეტვა, რომლებიც ერთიმეორეს მისდევს და რომლებსაც ვერ უშველა ვერც მთავრობის სუბსიდიებმა და ვერც სხვა ხელოვნურმა საშვალებებმა—ეს არის კრახი ერთი იმ ძველი ნაშთთაგანისა, რომელიც ასე უხუთავს სულს რუსეთის ხალხს და წინ ეღობება მის ეკონომიურ, კულტურულ და გონებრივ განვითარებას. **ნ. ხ.**

# ახალი ამბები

**ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 1 მარტს შესდგა ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. მორიგ კითხვებში შეტანილი იყო გასარჩევათ სამი უმთავრესი (აკითხი 1) ხმოსან ახნაზაროვის განცხადება, შესახებ იმისა, თუ რამდენათ სამართლიანია, ქალაქის ხმოსანი ვექილი ერთ და იმავე დროს ქალაქის წინააღმდეგ სასამართლოში საქმეებს იცავდეს; 2) რამდენათ სასურველია და სასარგებლო ქალაქის ხმოსანი ერთ და იმავე დროს ქალაქის მოსამსახურეთ ითვლებოდეს და ჯამაგირს ღებულობდეს და 3) შემფასებელი კომისიის არჩევნები. სამივე საკითხი გასარჩევათ შემდეგ სხდომისათვის გადასდვეს. შემფასებელ კომისიის არჩევნები მოხდება 15 მარტს. საბჭომ მსჯელობა იქონია მუხრანის ხიდთან მდინარის ნაპირის გასაფართოვებლათ შეიძინოს ეჩმიაძინის მონასტრის მამული და ამისათვის გადაიდოს 25,000 მანეთი. საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლების გალობის მასწავლებელ ქალებს ყოველ თვიურათ 5 მან. მიემატოს ჯამაგირზე. საბჭო ამტკიცებს გამგეობის წინადადებას. საბჭომ დაადგინა, დაენიშნოს ქალაქის ყოფილ მოსამსახურის გაიდას ქვრივს 180 მ. პენსია წლიურათ.

◆ **ჟურნალისტების საზოგადო კრება** დანიშნულია შაბათს, 6 მარტს. კრება აირჩევს სინდისის სასამართლოს. რომელიც ყიფიან-ნაგურსკის გაასამართლებს, სხდომა დაიწყება საღამოს 7 საათზე, ქალაქის შენობაში.

◆ **სამკითხველო ქვემო სურებში.** ოზურგეთის მაზრაში, ს. სურებში, გაიხსნა ბიბლიოთეკა იაკობ ივ. გოგებაშვილის სახელობაზე.

◆ **საზოგადო ქსენონი სოფლათ.** ბაღდადის საზოგადოებაში (ქუთ. მაზრა) არსდება სასოფლო საზოგადო ქსენონი. ქსენონის შენობას საზოგადოება ააგებს, რომელიც 12,000 მ. ეღირება.

◆ **ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლებში** დიდი მარხვის პირველ კვირაში ბავშვების ზიარების გამო სწავლა შეწყვეტილი იქნება.

◆ **ქალაქის სესხის განაღდება.** გუშინ თფილისში ჩამოვიდა ბელგიის ბანკების „ნორდ-ბანკ“-ის წარმომადგენელი, რომელსაც ქალაქის გამგეობასთან მოლაპარაკება აქვს გამართული ქალაქის სესხის განაღდების შესახებ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** შაბათს, 6 მარტს, ექიმი პ. სობოლევსკი სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ სახაზინო თეატრში წაიკითხავს ლექციას „აფრიკაში მოგზაურობაზე“. ლექციაზე აჩვენებენ ბუნდოვან სურათებს.

◆ **კავკასიის ექიმთა საზოგადოების** წევრთა კრება მოხდება დღეს, 3 მარტს, განიხილავენ მიმდინარე საკითხებს. კრება დანიშნულია ხსენებულ საზოგადოების საკუთარ შენობაში.

◆ **ლექცია.** დღეს სახაზინო თეატრში ა. ლისოვსკი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „კოლექტივიზმი და ინდივიდუალიზმი“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **სახალხო სახლი.** 9 და 10 მარტს სახალხო სახლში რუსულ დრამატიულ დრამატიულ დასის მიერ, პ. გ. ბარათოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პიესები, „კინი“ და ახალი თბომა —რუსულათ. ბილეთების ფასი შემცირებულია.

◆ **იაკობ გორდაძე** [illegible] დაიცვალა ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე, სახალხო საქმისთვის თავ-დადებული მუშაკი, იაკობ გორდაძე.

◆ **რკინის გზა კავკასიის ქედზე.** როგორც გაზეთები იუწყებიან ფინანსთა სამინისტროს სასურველათ უცვნია კავკასიის მთის ქედზე რკინის გზა გაიყვანონ.

◆ **ელექტრონის ტრამვაი ქუთაისსა და სამტრედიას შუა.** ინჟინერ პ. ალხაზოვმა, ტ. ნალბადოვმა და ტეხნიკმა ი. ბოგოლიუბოვმა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რათა ნება დაერთოს მათ ქუთაისსა და სამტრედიას შუა ელექტრონის ტრამვაი გაიყვანონ. ქუთაისის საგუბერნიო სამმართველომ სასურველათ სცნო ასეთი წინადადების განხორციელება და გზის გეგმა ნამესტნიკს წარუდგინა დასამტკიცებლათ.

◆ **პატარა მოსწავლემ თავი ჩამოიხრჩო.** გაზეთი „კავკაზი“ გადმოგვცემს: 11 თებერვალს სოხუმის ოლქში სოფელ ოკუმში, პატარა, 14 წლის მოსწავლემ, გლეხის შვილმა მ. ჯგუბერიამ თავი ჩამოიხრჩო. ბავშვი სკოლიდან დაბრუნებული, სახლში მას პატარა, 8 წლის და დახვედრია, რომლისთვისაც უთქვამს: მასწავლებელმა ა. კვარციამ სკოლიდან გამომრიცხა იმიტომ, რომ სკოლაში ხშირათ გაკვეთილებს ვაცდენო. ბავშვს ალბათ, მშობლების ეშინოდა, ჩამოკიდა თოკი, გააკეთა თოკის მარყუჟი და თავი ჩამოიხრჩო.

◆ **მინდვრის თაგვთან ბრძოლა.** როგორც ვიცით, მუღანის მინდვრებში მინდვრის თაგვები ძლიერ გამრავლდენ. განკარგულება მოუხდენიათ რათა მიმდინარე წელს მუღანის მინდვრებზე ბეითალ ექიმებმა ხელოვნურათ თაგვის ავათმყოფობა—სახადი გაავრცელონ და თაგვებს ამ რიგათ ებრძოლონ.

◆ **რედაქციამ მიიღო.** ჟურნალ „განათლების“ მორიგი ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია პედაგოგიური ორიგინალური წერილები, თარგმანები, ლექსები და წერილები პედაგოგიის ისტორიიდან.

◆ **„სხივი“.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ რომ სტამბის კანტანის გამო ჟურნალი „სხივი“-ს მორიგი ნომერი (№ 12) გამოვა კვირას, 14 მარტს, ხელის მომწერლები უკლებლივ მიიღებენ ყველა ნომრებს.

◆ **ჰაუპტმანის ფეიქრები.** რედაქციამ მიიღო „ახალი თეატრი“-ს მიერ გამოცემული გერჰარდტ ჰაუპტმანის შესანიშნავი დრამა

# სახელმწიფო დუმა.

**დეპ. ჩხეიძის სიტყვა**

**სედლეცის გუბერნატორის უკანონო განკარგულების შესახებ, რომელიც შეეხებოდა ოპოლის კოსტელებს.**

(სტენოგრაფიული ანგარიშებიდან.)

ბბ. სახ. დუმის წევრნო! თქვენ, რასაკვირველია, ძალიან კარგათ იცით, თუ როგორ ეკიდება დუმის კომისია იმ შეკითხვებს, რომლებიც მემარცხენე დეპუტატებს შემოაქვთ. თქვენ თვითონ შეგეძლოთ მოგეყვანათ ბევრი მაგალითები, როდესაც შეკითხვებისათვის, რომლებიც კომისიაში ირჩევა, თვით აშკარა ფაქტებიც-კი უყურადღებოთ რჩებიან და ასეთ შეკითხვებს არ ღებულობენ. მით უმეტეს სიამოვნებითი განცვიფრება განვიცადე, როდესაც ოპოლის შეკითხვის შესახებ კომისიის მოხსენება წავიკითხე. ამ მოხსენებიდან ჩვენ ნათლათ ვამჩნევთ, რომ შეკითხვების კომისიას არც ერთი ფაქტის, არც ერთი დებულების შესახებ, რომელსაც შეკითხვის ავტორები აყენებენ, ეჭვი არ ებადებათ,—პირიქით შეკითხვის ყველა მუხლების სინამდვილეს ამტკიცებს. კომისია ეთანხმება შეკითხვის შემომტანთ, რომ ოპოლის კოსტელი (პოლონელთა სამლოცველო), მიუხედავათ უმაღლესი განკარგულებისა, ფაქტიურ გამოსაყენებლათ გადაცემული არ იქნა. გარდა ამისა, კომისია აღნიშნავს, რომ ეკლესიით 10 წლის განმავლობაში არ სარგებლობდენ, რომ ამ კოსტელის კსენძს (მღვდელს) ჯამაგირი თავის დროზე ეწერება; კომისია ეთანხმება იმას, რომ იყო უმაღლესათ დამტკიცებული აზრი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამ კოსტელის ბედი; ის სცნობს სედლეცის გუბერნატორის უკანონო მოქმედებას, რომელსაც ცნობები ჰქონდა მიღიო იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ოპოლიში. კომისია არ უარყოფს ციფრებს, რომლებიც აქ მოყვანილია პოლონელთა და მართლ-მადიდებელთა რაოდენობის შესახებ, არ უარ ყოფს არც იმ რიცხვს, რომელიც მოყვანილია ინტერპელიანტებისაგან კოსტელების და მართლ-მადიდებელთა ეკლესიების რაოდენობის შესახებ ოპოლში. როდესაც ასეთი მოხსენება წავიკითხე, მე იმ დასკვნას დავადექი, რომ ეს საქმე სამართლიანია. თუ კომისიამ შეკითხვის არც ერთი დებულება არ უარყო, ცხადია, მეც საბუთი მქონდა მეფიქრა, რომ ეს საქმე სამართლიანია. ასეთი შეხედულებისა ვიყავი მანამდის, სანამ მემარჯვენეთა ორატორების—გრ. ბობრინსკის და ეპისკოპოს ევლოღის სიტყვები არ მოვისმინე. აქ სრულებით წინააღმდეგი სურათი გადაგვეშალა თვალ წინ. აღმოჩნდა, რომ ოპოლში კათოლიკები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მართლ-მადიდებელნი, აღმოჩნდა ისეთი გასაოცებელი ფაქტი, რომ განსაზღვრული დროს განმავლობაში, 1872 წ. კათოლიკები სადღაც გაქრენ. ეს აღნიშნა უწყების წარმომადგენელმა, არ ვიცი მხოლოდ, პოლიციის დეპარტამენტის თუ სასულიერო საქმეთა უფროსმა. მისი აზრით არავითარი საჭიროება არ იყო ოპოლში კოსტელის დაარსებისა, რადგან იქ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში შინაური ცხოველები სცხოვრობდენ, არავითარი უმაღლესი დადგენილება არასოდეს არ ყოფილა და ასეთი დადგენილება არავის არასოდეს თავში არ მოსვლია. ეს კიდევ ცოტაა აღმოჩნდა, რომ თურმე სედლეცის გუბერნატორს არავითარი ცნობა არ მიუღია და არც შეეძლო მიეღო. ესეც ცოტაა. აღმოჩნდა, რომ მთელი შეკითხვა მოუსპიათ, ყველა ფაქტები უარ-უყვიათ; აღმოჩნდა, რომ რუსეთის ბიუროკრატია და რუსეთის მართლ-მადიდებელი სამღვდელოება მხოლოდ პოლონიზმზე და კათოლიციზმზე ზრუნვაში ატარებენ სიცოცხლეს. ბ. ხარუზინმა სთქვა, რომ როდესაც კათოლიკებმა ახალი კოსტელის აგების შესახებ შუამდგომლობა აღძრეს ამის ნებართვა მათ დაუყონებლივ მიეცათ; როდესაც კათოლიკებმა შუამდგომლობა აღძრეს ოპოლის ტაძრის გადაცემის შესახებ,—სამინისტრომ ეს საქმე თვითონ მიიღო საწარმოებლათ. როდესაც იმავე კათოლიკებმა შუამდგომლობა აღძრეს დაქცეულის ადგილზე სანამ ახალს ააგებდენ, დროებითი ტაძრის აგების უფლება მიეცათ, ეს ნებართვაც დაუყო ვნებლივ მიიღეს. ის პირები, რომლებიც გვეუბნებოდენ, რომ ჩამორთმეული კოსტელის გამოყენება ვერ შევსძელით, რადგან საშუალება არ მოგვეპოვებოდაო, ის პირები, რომელთაც ოპოლის კოსტელისათვის რაღაც გროშები შეშურდათ, ეს პირები ისეთი გულ-უხვები აღმოჩნდენ, რომ კათოლიკებს 18000 მან. მისცეს. ნუ თუ ეს კათოლიციზმზე ზრუნვა არ არის? ნუ თუ ეს კათოლიკებისადმი ყურადღების მიქცევას არ ნიშნავს? მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ტაძრის კურთხევას,—ამბობს ბ. ხარუზინი, დაესწრო არა 4 მღვდელი და 8 საერობო დარაჯი, არამედ 9 მღვდელი და 15 საერობო დარაჯი. ამაზე მეტი მზრუნველობის გამოჩენა განა შეიძლება? შემდეგ. რაც შეეხება შლიუბოვების გვარეულობის ნეშთის შეურაცხყოფას, აქ თურმე ისეთი რამეები ხდებოდა, რასაც მხოლოდ ლმობიერება და მოწიწება შეუძლია გამოიწვიოს. ინტერპელიანტების წინააღმდეგ უწყების წარმომადგენელი ამბობდა, რომ ტაძრის მართლ-მადიდებლური წესით კურთხევის დროს უცაბედათ დაბნეული ძვლები ისევ კუბოში ჩააწყვეს, კუბოების გადმოვარდნილი სახურავები კი ისევ თავის ადგილას იქნა დალაგებული, აგრამ ესეც ცოტაა. ეპ. ევლოღი და გრ. ბობრინსკი ირწმუნებოდენ, რომ მართლ-მადიდებელი მღვდელი ამ დროს ზეცაში იყურებოდა და მხურვალეთ ლოცვილობდა განსვენებული შლიუბოვსკების გვარეულობისათვისაო. (მარჯვნიდან: თქვენ კი როგორ გგონიათ?) ეს თქვენი საქმე არ არის.

**თავმჯდ.** ნუ ინებებთ ადგილებიდან გამოლაპარაკებას.

**ჩხეიძე.** საგულისხმიეროა, ბბ., აი კიდევ რა: აღმოჩნდა, რომ ასეთი მზრუნველობა, ასეთი ყურადღება კათოლიკებისადმი რუსეთის ბიუროკრატიისა და მართლ — მადიდებელი სამღვდელოების მხრით არ იყო შემთხვევითი ხასიათის,—ამას ჩადიოდენ საუკუნოებიდან საუკუნოებამდე. აი საბუთიც: როგორც შკოლაში, აგრეთვე ეკლესიებში და ხალხის ცხოვრების სხვა დარგებშიაც ადგილობრივი მთავრობა არა მარტო პოლონეთის, არამედ—რუსეთის მთავრობაც პეტერბურგში ნებას არ აძლევდა საზღვარ-გარეშე მყოფ რუსებს, რომ რუსები და მართლ-მადიდებელნი ყოფილიყვენ, პეტერბურგის მთავრობა ხოლმის საუნიატო ეპარქიას ნებას არ აძლევდა 1893 წ. დიდებულ მოძრაობას შეერთებოდა. ამას ამბობს ბრწყინვალე, ბანოვანი გრ. ბობრინსკი. (სიცილი).

ეპ. ევლოღი ამტკიცებდა, რომ როდესაც უნიამ დაასრულა თავისი ბოროტი დანიშნულება—ლათინებათ და პოლონელებათ აქცია პოლონეთის სამეფოში მყოფნი რუსეთის მცხოვრებნი, რუსეთის მთავრობამ თითქმის სრულიად დაივიწყა ამ განაპირა ქვეყანაში მცხოვრები რუსის ხალხი—სჩანს, მთავრობას მარტო პოლონელები ღა ახსოვდა, დიახ, მთავრობა და სამღვდელოებაც, ასე ვსთქვათ, შეთანხმებულათ მოქმედობდენ ერთი მიმართულებისაკენ, რომ ხელი შეეწყოთ კათოლიციზმისათვის და პოლონიზმისათვის. ახლა კითხვა იბადება: რითი და როგორ უპასუხეს პოლონელმა კათოლიკებმა ამ ყურადღებისა და ალერსიანი მოპყრობისათვის? აი როგორ ახასიათებს ეპ. ევლოღი კათოლიკების დამოკიდებულებას მართლ-მადიდებელ სამღვდელოებასა და რუსეთის ბიუროკრატიისადმი: „ხოლმის უნიატების შემოერთების დღიდანვე პოლონელებმა უნიატების შესახებ მზრუნველ საზოგადოების სახით დაიწყეს უნიატებში შურის და მტრობის თესვა რუსებისადმიო“,—გრ. ბობრინსკი დასძენს:—„აქ აღძრულია საკითხი დევნის შესახებ და მე ვიცი, რომ ხოლმშჩინაში და პ..... დევნა იყო და დევნა ახლაც არის და რომ ეს მხარე დევნით არის დასისხლიანებული ჩამომავლობიდან ჩამომავლობამდე, საუკუნოებიდან საუკუნოებამდე“. დასასრულ, როგორ გადაუხადეს პოლონელებმა ამ ყურადღებისა და ალერსიანი მოპყრობისათვის? დაიჭირეს 1906 წ. ხოლმის კოსტელი. ამნაირათ, ამ ამბების შესახებ მე სრულებით წინააღმდეგ დასკვნას დავადექი, აღმოჩნდა, რომ შეკითხვით უნდა მივმართოთ არა იმას, ვის სახელზედაც ის იყო მიმართული, არამედ—შეკითხვა უნდა იქნეს შეტანილი მთავრობის უმოქმედობის შესახებ, რომელმაც თავისუფალი მოქმედების ნება მისცა პოლონელებს (სიცილი). ამ შეხედულების შესახებ მე სრულებით დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ ხელს არ მიშლიდეს ერთი მცირე გარემოება... (სიცილი) აი მე აქვე მომყავს ის მოსაზრებაც, რომელმაც ამ პოზიციიდან გადამაყენა. გახსოვთ, როგორ ახსნა ეპ. ევლოღიმ კოსტელის წარმოშობა, იურიდიული საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს ეს კოსტელი? მან შემდეგი სთქვა: რომ გაძარცული და მოტყუებული უნიატი-გლეხები დაემშვიდებია, შლიუბოვსკიმ აღუთქვა, რომ ის

# ხელის მომწერთა საყურადღებოთ!

გაზეთ „ახალი სხივი“-ს კანტორა სთხოვს იმ ხელის მომწერლებს, რომლებსაც გაზეთის მორიგი ნომრები დააკლდებათ, დაუყოვნებლივ აცნობონ ეს კანტორას.

„ფიქრები“, ქართულათ ნათარგმნი ივ. ახალშენიშვილის მიერ. წიგნს დართული აქვს პ. კოგანის კრიტიკული წერილი ჰაუპტმანზე და სურათი. შეიცავს 160 გვერდს. და ღირს 50 კ.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** ორშაბათს, 1 მარტს, დილის 10 საათზე, ავჭალის ქუჩაზე რ. ს. კველიევმა კარბოლის სიმჟავე მიიღო. ავათმყოფი მიხეილის საავათმყოფოში წაიყვანეს ავათმყოფის მდგომარეობა სამძიმოა.

✦ **ქურდობა.** 1 მარტს ვაჭარ დ. ბატიევის ნოქარმა გ. დ. გულიევმა პოლიციას განუცხადა, რომ ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა ბატიევის მაღაზიის კარები გატეხეს და 1000 მან. ღირებული საქონელი გაიტაცესო, ფულათ 19 მანეთი.

—

**გურია.** გურიაში ავათმყოფობა ხშირია, ამ ბოლო ხანებში ბევრი მიემგზავრება საიქიოს. არის გადამდები სენი, ყელჭირვება და სახადი. ზომები ნაკლებია.

— ხმები დადის, გურიაში სამხედრო წესებს აცხადებენო, აგრეთვე ამბობენ, ადგილობრივი მაზრის უფროსი გადაყავთ და ზოგიერთი ადმინისტრაციის წარმომადგენლებიცო.

— ამ რამდენიმე ხნის წინეთ დაჭერილი ვანიძნეები ერთი თვის ციხეში ყოფნის შემდეგ გაანთავისუფლეს.

— სოფ. ლიხაურში უკვე შეუდგენ მზადებას, ბიბლიოთეკა და სამკითხველოს შესახებ. ადრე მოელიან ნებართვას, რომლისათვის მიმართეს ქ. შ. წ. კ. გ. ს. მთავარ გამგეობას. პასუხის მგებლათ არჩეულია მღ. ნ. კონტრიძე.

— სოფ. ლიხაურში გასულ წელს გადასახადები გადახდევინეს „რასხოდის“ 1908 მ. 66 კ. მიწის ბაჟი 645 მ. ჯარიმის 1800 მ. დრამის ფული 301 მანეთი.

— **21** თებერვალს გარდაიცვალა სოფ. ხვარბეთში ს. მურვანიძე. დაასაფლავეს 22 თებერვალს. რეაქციონერმა სოფლებმა მშობლებს არ მისცეს მიცვალებულის მეტი ხნით სახლში გაჩერების ნება...

# უკანასკნელი ფოსტა

### საზღვარ გარეთ

**ახალი დემონსტრაციები.** პრუსიის ყველა დაბა-ქალაქებიდან ბერლინში ცნობებს ღებულობენ, რომ სოციალდემოკრატები ყველგან დემონსტრაციებსა და მიტინგებს მართავენ.

**მთავრობა შეშფოთდა.** ბერლინიდან „რ. ს.“ ატყობინებენ, რომ 22 თებერვალს მომხდარა მინისტრთა საბჭოს არაჩვეულებრივი კრება, რომელზედაც მსჯელობა ჰქონიათ იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება უნდა დაიჭიროს მთავრობამ დემონსტრანტებთან.

კანცლერი ბეტმან-გოლვეგი მომხრე იყო იმისი, რომ მთავრობის პრესტიჟს გასამაგრებლათ დემონსტრაციების გამართვა აეკრძალათ. სამინისტროს დანარჩენი წევრები შესაძლებლათ სცნობდენ მშვიდობიანი მანიფესტაციების გამართვას, რომ ამით სოციალდემოკრატებს იარაღი არ მისცენ აგიტაციისათვის. მინისტრთა საბჭომ გადაწყვეტილი აზრი ვერ გამოიტანა აღნიშნული კითხვის შესახებ.

**პოლიციელების ხრიკები.** პოლიციის პრეფექტს სურს, რომ შეამციროს დემონსტრაციების დიდებული შთაბეჭდილება და ოფიციალურათ აცხადებს, რომ დემონსტრაციებში მხოლოდ 15,000 კაცი ღებულობდა მონაწილეობას და არა 150,000 კაციო. პოლიციის პრეფექტი მადლობას უცხადებს აფიცრებს და პოლიციელებს სამაგალითო (!) მოქმედებისათვის.

გაზეთების აზრით პოლიციის ასეთი განცხადება—საზოგადოების საბრძოლველათ გამოწვევაა.

სოციალდემოკრატები საქვეყნოთ აცხადებენ, რომ გასული კვირის დემონსტრაცია—მხოლოდ დასაწყისი იყო; თუ საარჩევნო კანონ-პროექტს არ შესცვლიან, ნამდვილ ძალას მუშები მაშინ გამოიჩენენო.

**რეაქციონური გაზეთები** პოლიციის პრეფექტის განცხადების წინააღმდეგ აღნიშნავენ, რომ დემონსტრაციებს აშკარა რევოლიუციონური ხასიათი ქონდა და მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ, ან განსაკუთრებული წესები იქნეს გერმანიაში გამოცხადებული. რადიკალურ გაზეთებს სასაცილოთ არ ყოფნით რეაქციონერების გაბრაზება.

**სოც.-დემ. შეკითხვა.** როგორც გაზეთებიდან უკვე ვიცით, 21 თებერვლის დემონსტრაცია პრუსიის პოლიციამ სასტიკათ აკრძალა და წინა დღით გამოშვებულ განკარგულებაში ხალხს ტყვიებითაც-კი დაემუქრა. რასაკვირველია, პოლიციის მუქარას გერმანიის მუშები არ შეუშინებია და გრანდიოზული დემონსტრაცია გამართეს. პოლიციის განკარგულების გამო სოციალდემოკრატებს პარლამენტში შეკითხვა შეაქვთ: რა ღონისძიებით სურს კანცლერს უზრუნველყოს მომავალში კრებების თავისუფლება, რომლის უფლება კონსტიტუციის ძალით გვაქვს მონიჭებულიო.

### რუსეთი.

**შეკითხვების კომისიამ** ერთხმათ უარყო სოციალდემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა, რომელიც მიმართული იყო ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის სახელზე და შეეხებოდა საქარხნო და სამთო-მადნო საქმეების უმთავრესი საკრებულოს მიერ მთელი რიგი ცირკულიარების გამოცემას, რომელნიც არსებულ კანონებს არღვევენ.

**ციხეების უმთავრეს სამმართველოში** ყოველ დღე ღებულობენ ციხეების კომიტეტებისაგან შუამდგომლობას, რომ შეუმსუბუქონ სასჯელი იმ ტუსაღებს, რომელნიც წესიერათ იქცევიან ციხეში.

შუამდგომლობის დიდი უმრავლესობა მოდის ციმბირის ციხეების კომიტეტებისაგან. ყველა შუამდგომლობანი, იმის მიხედვით,—თუ რომელი სასამართლოს მიერ არის ესა თუ ის პირი გასამართლებული, ეგზავნება იუსტიციის, სამხედრო და საზღვაო მინისტრებს.

# ჩემი თაიგული

დილის ნამით ნაპკურია,
მთვარის შუქით მოქარგული
მზის სხივებით შეკრული მაქვს
ჩემი უცხო თაიგული.

—

შუაში ზის ტურფა ვარდი,
მოწყენილი იცქირება.
ეს ხომ ჩემი სევდა არის,—
იშვიათად იღიმება.

—

ვარდის გვერდით მიმალულა
ნაცარ-თვალა, მორცხვი ია.
ეს კი—ტრფობა მომავალის
და ბრწყინვალე იმედია.

—

აგერ კიდევ, ყვავილთ მეფე,
მშვენიერი თვით სუმბული.
ეს კი არის ნორჩი გულის
ფრთა გაშლილი სიყვარული.

—

და მის ახლოს შროშანია,
თეთრ-ქათიბა, ქალის შვილი.
ესეც, ჩემი ალმაფრენა,
უზრუნველი, მხიარული.

—

დილის ნამით ნაპკურია,
მთვარის შუქით მოქარგული.
მზის სხივებით შეკრული მაქვს
ჩემი უცხო თაიგული.

**ილ. რუხაძე.**

# ჟურნალისტების კრება

27—28 თებერვალს მოხდა ჟურნალისტების კრება, რომელსაც წარედგინა გამომძიებელი კომისიის მოხსენება ყიფიან-ნაგურსკის საქმის შესახებ. მოხსენება შეიცავდა სხვადასხვა პირთა ჩვენებას, რომელნიც ახლოს იდგენ დასახელებულ ჟურნალისტებთან და გამოსარკვევი საკითხის შესახებ რამე ცნობების მიწოდება შეეძლოთ. კომისიამ თავის მოხსენებაში, სხვათა შორის, მოიყვანა ყიფიან-ნაგურსკის ის წერილები, რომელნიც გასული წლის 10 ივნისიდან დაბეჭდილან და რომელნიც ტრამვაის საქმეებს ან სხვა ადგილობრივ საკითხებს შეეხებოდა. მოხსენების წაკითხვის შემდეგ სიტყვა მიეცა ბრალდებულს ვ. ნაგურსკის. მან აღნიშნა, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებების დასამტკიცებლათ საჭირო იყო კომისიას განეხილა არა მარტო ის წერილები, რომელნიც მან 10 ივნისიდან დასტამბა (ამ დღიდან დაიდო ხელშეკრულობა მირზოევ-ყიფიან-ნაგურსკის შორის), არამედ—სხვა მისი წერილებიც, რომელნიც კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებას, გზრობა-მრეწველობის განვითარებას და სხვა ადგილობრივ ეკონომიური ხასიათის საკითხებს შეეხებოდა და 10 ივნისამდე დაბეჭდილა სხვადასხვა გაზეთებში. როგორც 10 ივნისამდე, ისე მას შემდეგაც ჩემს წერილებში ერთსა და იმავე შეხედულებას (მრეწველობის ინტერესების დაცვას) ვატარებდი და აღნიშნულ საკითხებზე აზრი არ შემიცვლიაო. რაც შეეხება მირზოევთან დადებულ ხელშეკრულობას, ამაში ბრალდებულნი არავითარ დანაშაულობას ან უპატიოსნო მოქმედებას არ ხედავენ, რადგან ხელშეკრულობაში ნათლათ იყო აღნიშნული, რომ ისინი მიზნათ ისახავდენ მრეწველობის განვითარების ხელის შეწყობას ჩვენში მწერლობის საშუალებით; რაც შეეხება გაზეთის გამოცემის ნივთიერ უზრუნველყოფას, ეს საქმე მირზოევს ქონდა მინდობილი და მისგან იყო დამოკიდებული ვისგან აიღებდა ფულს ან რა ფორმით. ამ მხრით კი, ნაგურსკის სიტყვით, მას და ლ. ყიფიანს არ შეეძლოთ სრული ნდობით არ მოპყრობოდენ ისეთ ადამიანს, როგორიც იყო მირზოევი, რომელიც თფილისში ცნობილი იყო როგორც ქველმოქმედი კაცი, ქალაქის საბჭოს ოპოზიციის ლიდერი, ყველასაგან მიღებული ადამიანი და კარგი მეგობარი. ჩვენ დარწმუნებული გვიყავით, რომ მირზოევი უპატიოსნო საშუალებით ფულს არ აიღებდა და სამარცხვინო ისტორიაში არ გაგვხვევდაო. გზა და გზა ნაგურსკი შეეხო ზოგიერთ რედაქციებს და მათ თანამშრომლებს და ბევრი რამ საგულისხმიერო ცნობები გამოააშკარავა. რამდენიმე მწვავე ბრალდება წამოაყენა ნაგურსკიმ ქალაქის თვითმართველობის და კერძოთ ხატისოვის წინააღმდეგ, რომელსაც კონცესიების გაცემის საქმეში მიდგომილება უგიაო... დასასრულ ნაგურსკი შეეხო მისი და ყიფიანის გასამართლების ფორმის საკითხს. მან მთელი რიგი წერილების წაკითხვით აღნიშნა, რომ ბევრი რედაქციების თანამშრომლებთან (რუსულის), რომელნიც ჟურნალისტთა საზოგადოების წევრებათ ირიცხებიან, მას პირადათ თუ საზოგადო ხასიათის საკითხების ნიადაგზე შეტაკება და უსიამოვნება ჰქონია; გარდა ამისა ბევრ ჟურნალისტს ის თვითონ ბრალს სდებს სხვადასხვა არა-საკადრის საქციელში და უთუოდ ამის გამო მან შეუძლებლათ სცნო, რომ მის მოსამართლეებათ გამოსულიყვნენ ჟურნალისტთა საზოგ. წევრები. ეს მით უმეტესო,—განაცხადა ნაგურსკიმ,—რომ მე თავს ამ საზოგად. წევრათ არ ვსცნობო. ნაგურსკი თანახმაა ის და ყიფიანი გაასამართლოს სხვა ადგილობრივ საზოგადოებათა წევრებისაგან შემდგარმა პატივის აღმდგენელმა სასამართლომ.

ლ. ყიფიანმა განაცხადა: დასამატებელი აღარა მაქვს რა, ყველაფერი დავსწერე. ვთხოვ კიდევ, თუ ვინმე რამე [illegible] შესახებ სთქვით, დასწერეთ და მიუდგომელი საზოგადოება [illegible] ჩვენს მოქმედებასო. ყიფიანი დასძენს, რომ მას არაფერი საწინააღმდეგო არ ექნება, თუ მათ გაასამართლებს ჟურნალისტების საზოგადოების წევრებისაგან შემდგარი პატივის აღმდგენელი სასამართლო, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ სასამართლოში ისინი დიდი უმრავლესობა არ იქნებიან.

პ. გელეიშვილმა სიტყვა ითხოვა პირადი განმარტებისათვის და უარყო მის წინააღმდეგ ნასროლი ბრალდებანი.

ნ. ელიავამ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მისი და კ. ჯაფარიძის მირზოევთან მეგობრული განწყობილება სრულებითაც არ ასუსტებს და არ ამართლებს იმ ბრალდებას, რომელიც ყიფიანსა და ნაგურსკის წინააღმდეგ არის წამოყენებული. პირად მეგობრულ განწყობილებაში მე, მართალია, ვიყავი მირზოევთანო, სთქვა ელიავამ, და ეს მეგობრული განწყობილება დღემდისაც არ შეწყვეტილა ჩვენ შორისო, მაგრამ მიუხედავათ ამისა, იდეიურ ნიადაგზე, ან ქალაქის თვითმართველობის საქმეებში ჩვენ შორის არა თუ თანხმობა, არამედ შეხედულებათა სრული წინააღმდეგობა არსებობდაო. ამის დასამტკიცებლათ ნ. ელიავამ ქ. თვითმართველობის ცხოვრებიდან მოიყვანა რამდენიმე მაგალითი. (ნახალოვკის მიწების გაცემა, სოლოლაკის გვირაბი და სხვა.) ნ. ელიავას სიტყვით, მირზოევს. საბჭოს ოპოზიციის ლიდერათ არავინ არ სცნობდა და ასეთი არც ყოფილა არასოდეს. ქ. საბჭოში შესდგა ჯგუფი, რომელმაც მიზნათ დაისახა ქალაქის სამეურნეო კითხვების შესახებ ერთგვარ შეხედულებათა გატარება. ყველა, ვინც ამ ჯგუფის წევრობას მოისურვებდა, ვალდებული იყო ჯგუფის შეხედულება გაეზიარებინა და ჯგუფის დისციპლინას დამორჩილებოდა. მირზოევი ითვლებოდა ამ ჯგუფის წევრათ, მაგრამ ხშირათ ჯგუფის შეხედულების და დისციპლინის წინააღმდეგ მიდიოდა. მაგ., ტრამვაის საქმეების შესახებ ჯგუფი ერთი შეხედულებისა იყო, მირზოევს კი დაინტერესებული მხარის მოქმედება ემჩნეოდა და ბევრ სხდომას არ ესწრებოდა, ან თუ ესწრებოდა, კენჭის ყრამდე კრებიდან მიდიოდა. იყო ისეთი მაგალითიც, როდესაც ჯგუფმა თავისი კანდიდატი წამოაყენა, მირზოევმა თავისი ხმა მოწინააღმდეგე მხარის კანდიდატს მისცა და ჯგუფის კანდიდატი ერთი მეტი ხმით გაიშავა. მიუხედავათ ყოველივე ამისა, მირზოევს მაინც საჭირო, სასარგებლო და ქალაქის საქმეების კარგ მცოდნე ხმოსნათ ვსთვლიდით. სხვათა შორის, მან ფარდა ახადა მუხრანის ხიდის გაცემის საქმეს, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ენფიაჯიანცი, როგორც ხმოსანი, ქალაქის ტეხნიკური კომისიის თავმჯდომარეთაც იყო და ამავე დროს იმ ფირმის წევრათაც იყო, რომლებსაც მუხრანის ხიდის იჯარით აღება სურდათ, (მირზოევს) რისთვისაც მოვალეთ ვთვლი თავს საჯაროთ მადლობა გამოვუცხადო. ჩემის აზრით, დასძინა ნ. ელიავამ, რომ ეს შესაძლებელი იყოს, დღესაც სასურველი იქნებოდა მირზოევის ქ. თვითმართველობას ხმოსნათ დატოვება, როგორც სასარგებლო კაცისა.

ბ. ელიავამ ისიც თქვა, რომ საბჭოში თითქმის არც კი არსებობს ოპოზიცია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რადგან გამგეობა უფრო დემოკრატიულია, ვინემ თვით საბჭო საერთოთ, რაიცა მტკიცდება სხვათა შორის იმითაც, რომ გამგეობა ცდილობდა მშვიდობიანობა ჩამოეგდო მუშებსა და ხაზეინებთა შორის და სხვა. „უპრავა“, რამდენათაც კი შეიძლება დემოკრატიულ ნიადაგზე დგასო... ვიმეორებ, ის, ვითომც მე მცოდნოდეს რაიმე ხსენებული პირობის შესახებ, სიმართლეს მოკლებულიაო. ნ. ელიავას სიტყვას კ. ჯაფარიძემ დაუმატა, რომ ის ცნობა, ვითომც მირზოევს ეთქვას, რომ მე და ნ. ელიავამ ვიცოდით რაიმე არსებული პირობის შესახებ, არ არის მართალი და ეს თვით მირზოევმა უარყო, რომელმაც ბ. არღუთინსკის თანდასწრებით განაცხადა: მე კი არ მითქვამს ის, არამედ ჩემი მტრები ავრცელებენ ასეთ ხმებსო. შემდეგ სიტყვა მიეცა ნ. ცერცვაძეს.

(დასასრული ხვალ)

# წერილი გურიიდან

**(მიწების გამოსყიდვის შესახებ)**

გურია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით უმთავრესათ სამ ნაწილათ იყოფა: გურიანთის საზოგადოებო, დასავლეთით, ლანჩხუთის—ჩრდილოეთით, და ჩოხატაურის, აღმოსავლეთით. ეს უკანასკნელი ერთობ მთა-გორიან ადგილე-

---

აავებს საუნიატო ეკლესიას. საცოდავი უნიატებიც არ ზოგავენ ამისათვის არც შრომას, არც ფულს და სხვ. ბოლოს რა აღმოჩნდა? ბოლოს შლიუბოვსკიმ გლეხები მოატყუა და ყოველივე ეს თვითონ მიისაკუთრა. გამოდის-რა ამ დებულებიდან, ეპ. ევლოღი ამბობს, რომ გლეხებმა ამ საქმეზე დახარჯეს შრომა და სისხლით ნაშოვნი ფულები, მაშასადამე, კოსტელიც გლეხებს უნდა დაუბრუნდეს. აქ მე თითქმის აღტაცებაში მოვედი: ჩვენ ეპ. ევლოღის სახით მომხრე ვიშოვეთ (მარცხნით ტაშის ცემა. სიცილი) მე ვიცი, რომ ჩვენი მემამულეები წლების განმავლობაში ექსპროპრიაციის მისდევდენ, ითვისებდენ იმ მიწებს, რომლებსაც გლეხები თავიანთი ოფლით რწყავდენ. იმ თეორიის თანახმათ, რომელსაც ამ ჟამათ ეპ. ევლოღი იზიარებს, ეს მიწები გლეხებს უნდა დაუბრუნდეს. მე ვიცი, რომ კავკასიაში, მაგალ., რუსეთის ბიუროკრატია დიდძალ საეკლესიო მიწების და მუსულმანთა ქონების ექსპლოატაციას ეწეოდა, მაშასადამე, ყოველივე ესეც უკანვე უნდა იქნეს დაბრუნებული და ვინ იცის, რამდენ საუცხოვო დასკვნას გავაკეთებდი, რომ ისევ ეპ. ევლოღის არ შევეკრთე (СМУТИЛЪ БЫ). იმ თეორიის თანახმათ, რომელსაც ის ვითომ ჩვენთან ერთათ იზიარებდა, მან ასეთი დასკვნა გააკეთა, რომ კოსტელი სახელმწიფო ალებ-მიმცემობის ობიექტათ უნდა იქნეს გადაქცეულიო. აქ მე შევკრთი, რადგან ეს დასკვნა სრულებით არ შეეფერის მისგანვე ნაჩვენებ თეორიას. ჩემი ეჭვი აქ კიდევ აი რის გამო გაორკეცდა: გრ. ბობრინსკი ამბობდა, რომ სიფრთხილით უნდა მოვიქცეთო. შეკითხვაზე ხელი უწერია სახელ. დუმის ბევრ წევრებს, რომელნიც ათასი ვერსის მანძილით არიანოპოლის კოსტელიდან დაშორებულნი; მათ ხელი მოაწერეს შეკითხვას, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ადგილობრივ დეპუტატებს ენდობოდენ. დიახ, ეს მაგალითათ გახდეს რუსეთის ხალხისათვის იმის შესახებ, თუ როგორი სიფრთხილით უნდა იქნეს მოსმენილი ყოველი განცხადება და გონიერი ზომები იქნას აღმოჩენილი, როდესაც ნაციონალურ-სარწმუნოებრივ საკითხებს ეხებიან. დიახ, მე პეტერბურგიდან და პოლონეთიდან 4,000 ვერსის მანძილითაც ვარ დაშორებული. მე დავეთანხმე გრ. ბობრინსკის რჩევას და ჩემს თავს ვუთხარი: მართლაც, არ შეიძლება ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში დარჩენა, საჭიროა უფრო სარწმუნო წყაროების მოძებნა, რომლების მეოხებითაც შესაძლებელი გახდება ამ სურათის უფრო სინამდვილით გაშუქება. წარმოიდგინეთ, დიდხანს არ დამჭირდა ისეთი წყაროს ძებნა, რომელიც სულ სხვაფრივ გვიხატავს საქმეს, ვინემ მისი გაშუქება მემარჯვენე ორატორებს ეპრიანებოდათ. ამ ტრიბუნიდან ჩემს წინათ მოლაპარაკე ორატორმა სთქვა, რომ უმაღლესი მთავრობის განკარგულებანი ნახევრათ სრულდებოდენ. აი, მე ახლავე მოგიყვანთ მაგალითს იმის შესახებ, თუ როგორ ნახევრათ სრულდებოდა ამ მხარეში უმაღლესი მთავრობის განკარგულებანი. მე ხელთა მაქვს ერთი დოკუმენტი, თუ ვინმეს მის სინამდვილეში ეჭვი შეეპარება, შეიძლია მიგითითოთ იმ წყაროებზე, რომლებიც მე მაქვს. ამ ცნობის ავტორი შემდეგს ამბობს: „თუმცა უნიატების მართლმადიდებელ ეკლესიასთან შემოერთებას ხოლმის მხარეში და პოდლიასიეში იმ გვარათვე ხელოვნურათ ამზადებდენ, როგორც ლიტვის ოლქებში, მაგრამ აქ ხალხის ისეთ წინააღმდეგობას წააწყდენ, რომელსაც სრულებით არ მოელოდენ ლიტვის მაგალითის მიხედვით; მაშინ არც მთავრობა, არც ეკლესია უწმინდესი სინოდის მეთაურობით ისეთი ზომების წინაშეც კი არ შეჩერდენ, რომელნიც საშუალო საუკუნოებს უფრო შეეფეროდა, ვიდრე მე-XIX საუკუნეს; აღდგენილ იქნა ის სასტიკი ზომები, რომელსაც ლიუდოვიკ მე-14 ხმარობდა გუგენოტების წინააღმდეგ; ხმარობდენ იმ საშუალებებს, რომლებიც ინგლისის პარლამენტის ლურჯ წიგნში იქნენ აღწერილნი და გამოქვეყნების შემდეგ მთელი განათლებული ქვეყნიერების ზიზღი გამოიწვიეს. თანახმად ინგლისის ელჩის, ვიცე-ელჩისა ვარშავაში მანსფელდისა და ნედსტერის რაპორტებისა, აგრეთვე თანახმად ოდესის გენერალური ელჩის მოხსენებისა 1876 წ. ნახევრამდის ხერსონის, სარატოვის და ეკატერინოსლავის გუბერნიებიდან გაძევებულ იქნა 20,000 უნიატი. კიდევ 1874 წ. 29 იანვარს „ჟურნალ დე ს.-პეტერბურგში“ იყო დასტამბული, რომ ხალხი მათრახების საშუალებით გადაყავთ მართლ-მადიდებლობაშიო. სედლეცის და ბელის ციხეები იმდენათ იყო გაჭედილი დატუსაღებულებით, რომ უადგილობის გამო გლეხები თავლებში და საბძლებში ყავდათ დამწყვდეული; სოფლებს შეაწერეს იმდენათ მძიმე გადასახადი, რომ თვით შეძლებული მეურნეებიც კი გაალატაკეს. ეს კიდევ არაფერი. სოფელ პოტულში, გრელოვში და ზაბოლოტიეტიეში, მთავრობის ბრძანებით ტყვიებით გაუმასპინძლდენ იმ უიარაღო და უმწეო ხალხს, რომელიც კოსტელებს იცავდა. მარტო სოფ. პოტულში დაჭრილ-მოკლულთა რიცხვი 9 იყო (მარჯვნიდან: რა საჭიროა მაგის ჩამოთვლა)... ყველა ეს ცნობები ამოღებულია „ლურჯი წიგნიდან“, რომელიც გადათარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ და პოლონურ ენებზე...

(დასასრული იქნება)

ბისაგან. შედგება, რის გამო იქ არ არსებობს არავითარი ხელოვნური მორწყვა.

მცხოვრებლების რიცხვმა ერთი ორათ იმატა, მიწები გამოიფიტა, „დალოცვილი“ იზაბელას ვენახი (მაღლარია) რომელიც დაახლოვებით თითოულ ოჯახს ორთა შუა რიცხვით 150 მან.—300 მან. აძლევდა, სრულიათ გაანადგურა ფილოქსერამ. სამრეწველო კრიზისის გამო დაიკეტა ბათუმის ზავოდები, რომლებშიც უმთავრესად გურულები მუშაობდენ. გურულებს არც სხვაგან უღიმის ბედი, მათ აუკრძალეს შავი ზღვის ნავთ-სადგურებშიც მუშაობა... უმიწობა იქამდის მივიდა, რომ ხალხი მიაწვა სუფსა—გობაზეულის ხეობას. გააშენეს მიუდგომელ ადგილებზე. შემდეგი სოფლები: თავ-სურები, ტობალჩა, ნაბეღლავი ქვაბლა და სხვები. უდიდესი ნაწილი საყანე მიწებისა ისე არის დაყირავებული რომ, შემოდგომაზე, სიმინდის მოგროვების დროს, რადგანაც დასადგამი ადგილი არ მოიპოვება, მუშებს ზურგში ჰკიდია გოდორი, დადის საცოდავი, ტეხს და ხელშებრუნებულათ გოდორში ჰყრის ტაროებს. თან ის წინაა წაზნექილი, რომ ხრამში არ გადაყირავდეს. კრიმ-გირეის მოგზაურობის დროს გურულებმა გაიგეს, რომ მას არარატის მთაზე უყვარდა ასვლა—მოგზაურობა და შეკითხვა მისცენ: „შესძლებთ იმ ადგილებზე, სადაც ჩვენი ყანებია მოგზაურობას თუ არაო“. კრიმ-გირეის უკვირდა: „ჩემის თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი, თუ ასეთ მიუვალ ადგილებზე შესაძლებელი იქნებოდა სიმინდის მოყვანაო“.

გადის დრო. ტყეები, რომლებიც შეადგენდენ გლეხების ერთად-ერთ შემოსავლის წყაროს (ყავარი, საშენი ფიცრები) გაჩეხეს ან გადასწვეს, რომ იქ სიმინდი დაეთესათ, მარა დახეთ უბედურებას, წვიმებმა და ნიაღვრებმა ჩამორეცხეს ეს ადგილები და დღეს სოფლელი მიწის მუშა იძულებულია პირი იბრუნოს, მიატოვოს ეს მიუდგომელი კლდე-ღრენი და გადასახლდეს იქ, სადაც ადამიანს შრომა გაუვა. ასეთი მამულები კი ძველი დროიდან თავად-აზნაურების ხელში იყვენ, მაგრამ უკანასკნელებმა თავიანთი დაუდევრობით უკვე დაჰკარგეს ისინი. განმათავისუფლებელ მოძრაობამდის მემამულეები მუშებს აძლევდენ მიწებს დასამუშავებლათ სანახევროთ, სამესამედოთ და იშვიათად სამეოთხედოთ. ამნაირათ, მემამულეს ქცევა მიწა აძლევდა 10 მან.—20 მანეთამდის *) შემოსავალს. ასე რომ მიწის ფასი მემამულეებს ოცჯერ და ორმოცჯერ აქვთ აღებული გლეხებისაგან, მაგრამ, მიუხედავათ ამისა მათი კუჭი ვერ გაძღო ასეთმა შემოსავალმაც და იგინმა თავისი შესანიშნავი მამულები (ესენი უმთავრესად მდებარეობენ რკინის გზის ახლო) ბანკში დააგირავეს, ეს ფორმალურათ, ნამდვილათ კი ბანკს მიჰყიდეს. რომ ეს ასეა, საჭიროთ ვსცნობთ შემდეგი ციფრების მოყვანას:

ამიერ კავკასიის სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილებას 1908 წლის 1 ნოემბრამდის ოზურგეთის მაზრაში დარჩენია სულ 31 ადგილ-მამული, რომლებიც ეკუთვნოდა თავად მაჭუტაძეებს, გურიელებს, ნაკაშიძნებს და აზნ. ბებურიშვილებს, კობალაძეს და ჯაყელს. ეს მამულები სივრცით არის 4957 დესიატინა და 494 საჟ. (13219 ქცევა და 194 საჟ.). მოხსენებულ პირებს დაუგირავებიათ—412,800 მანეთად, ხოლო ბანკს დარჩენია 473755 მან. და 97 კაპეიკათ *) ამნაირათ ქცევა მიწაში ბანკს მიუცია ორთა შუა რიცხვით 32 მანეთი, მხოლოდ მას დარჩენია (ხარჯები და პროცენტები) 36 მანეთში. მაგრამ მოხსენებულ მამულებში ურევია ისეთებიც, რომლების ქცევა 66 ნახევარ მან. არის დაგირავებული, მხოლოდ ბანკს დარჩენია 74 მანეთად. ეს მამული, ზომით 1504 ქც. ეკუთვნოდა თავად დ. გ. მაჭუტაძეს. თავ. ნ. ა. მაჭუტაძის და ვუჩინოს მამული ზომით 1112 ქცევა დაგირავებულია: ქცევა 72 მანეთად, მხოლოდ ბანკს დარჩენია 82 მანეთში. აი ასეთ საზღაპრო ფასებში გირავდებოდა მამულები... „დრო გავანებოთ თავი ამ ხრიოკებს და მივაშუროთ და გამოვიყიდოთ ის ქალები, რომლებიც დღეს ბანკის საკუთრებას შეადგენსო“, ამ ლოზუნგით გამსჭვალულებმა, ლმ-სავლეთ გურიაში, შეადგინეს ამხანაგობა, დიდის გაჭირვებით შეაგროვეს 5000 მანეთამდის, რაც რამ გააჩნდათ ნახევარ ფასში გაჰყიდეს, გამონაწეს ჩოლოქის მამული, ზომით 1500 ქცევა და მოურიგდენ ბანკს 15000 მანეთად და ბეც შეიტანეს. ეს მამული ლეხოურის ტერიტორიის გარეშე მდებარეობს, მათ (ლეხოურის საზ. და ჩოლ. მამულს შორის) რამდენიმე ვერსი მანძილია. ლეხოურელებს რამდენჯერ შეაძლიეს ეს მამული ქცევა 6—7 მანეთად, მაგრამ მათ არ მოისურვეს შესყიდვა. მხოლოდ როდესაც ახალშენის ამხანაგობამ ათას მანეთზე მეტი დახარჯა ამ საქმეზე, ზოგიერთმა ინტრიგანებმა „პრიხოდსკოი შოვინიზმით“ გაჟღენთილებმა,—დიომიდე სხალაძის და ყარამან სურგულაძის მეთაურობით ასტეხეს განგაში. უკანასკნელებმა თფილისში კაცი აფრინეს და ერასტი გორდელაძეს („ზაკავკაზიეს“ რედაქციაში) დახმარება სთხოვეს. ბ. ერასტიმ ბეთ 400 მანეთი შეიტანა ბანკში და მით დაუპირდაპირდა ახალშენის ამხანაგობას. უკანასკნელს სხვაც აღმოუჩნდა მეტოქეთ: ბ. ერმილე ნაკაშიძემ და ოზურგეთის ქალაქის თავმა ბებურიშვილმა ტელეგრამით მიმართეს პრემიერ მინისტრს: „რევოლიუციონური მოძრაობის მიზეზით ჩვენი მამული ბანკს დარჩა, დღეს სხვები ყიდულობენ და გთხოვთ უპირატესობა ჩვენ მოგვენიჭოსო“. ლეხოურმაკვანეთლები ახალშენის ამხანაგობას სამედიატორო სამართალში უნდა გაჰყოლოდენ, მაგრამ, რადგანაც პირველებმა, ერმილე ნაკაშიძის და ყარამან სურგულაძის გავლენის ქვეშ, ეს არ მოისურვეს, ჩოლოქის მამულს ორი ათასი მანეთი ფასი მოემატა. დღეს პირობაზე ხელიც არის მოწერილი და შეტანილია 2000 მანეთი: 1200 მან. ამხანაგობის, 800 მ. ერასტი გორდელაძის—ლეხოურმაკვანეთლების მაგიერ. ჯერ კიდევ კითხვა გადასაჭრელია, ვის უნდა დარჩეს მამული. ე. გორდელაძე, ე. ნაკაშიძე და ყარამან სურგულაძე უარს ყოფენ სამედიატორო სასამართლოში კითხვის დასმას იმის შესახებ, თუ ვის უფლებაში უნდა დარჩეს მამული. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ისინი მორალურათ დამარცხებულნი არიან და დარწმუნებულნი,—რომ სამედიატორო სასამართლო ახალშენელების სასარგებლოთ გადასწყვეტს საკითხს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვიმედოვნებთ—ლეხოურ-მაკვანეთლები არამკითხე აპეკუნებს თავიდან მოიშორებენ და მეგობრულათ გადასწყვეტენ საკითხს ახალშენის ამხანაგობასთან. ისეთ პირებს, როგორიცაა დ. სხალაძე, ლეხოურელებმა ლაგამი უნდა ასდონ, რადგანაც ისინი ამწვავებენ ორი მეზობელი სოფლის ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებას. „ცვარმა დამახრჩოს შემრცხვება, ზღვამ რომ დამახრჩოს არაო; თქვენს იქ ჩამოსახლებას უცხოელების ჩამოსახლება გვირჩევნიაო; პროპ—ტის ხორცს სიამოვნეთ შევსწვავდი და ჩავაკნატუნებდიო“, აი, ასეთი სიტყვებით მიმართა მან ახალშენის ამხანაგ. რწმუნებულებს. თვით საზოგადოება, რასაკვირველია, თანაგრძნობას არ გამოუცხადებს სხალაძეს ასეთი სიტყვებისთვის, მაგრამ ყველამ უნდა ვეცადოთ, რომ ასეთ სხალაძეებს მომავალში ნდობა არ ჰქონდეთ მოპოებული.

ასეთი ვაჟბატონები გამოუჩნდენ გულიეკარის (ახალსენაკის მაზრა) მცხოვრებლებსაც.

გულეიკარში მდებარეობს მამული სახელწოდებით „სადიდიო-ანჯელი“, რომელიც შესდგება 26 ნაკვეთი მიწისაგან, ზომით არის 625 დესიატინა და 430 საჟ. (1667 ქცევა და 130 საჟენი) ეს მამულები დიდიებიდან და ქავთარაძიდან დარჩენია იმავე ბანკს 125,382 მან. და 89 კაპეიკათ. იქ დღევანდლამდის მუშაობდენ გულეიკარის, ტოლების, ზემოხეთის, ნანეიშვილისეულის, ფარცხმის და ამაღლების მცხოვრებნი. დღეს უკანასკნელმა ოთხ საზოგადოებამ გადასწყვიტა ამ მიწების შეძენა—ჯერ ბანკში პირობაზე ხელის მოწერა და შემდეგ მისი სამართლიანათ დაყოფა. გულეიკარელებმა და ჯაპანლებმა ეს არ მოისურვეს: თფილისში სევასტი ჰკუასელი, № დოლიძე და სხვები აფრინეს. მერე რა ქნეს ამ ვაჟბატონებმა? გ. ნ. დიდიას ადგილს 27,000 მანეთით მეტ ფასს აძლევენ. ზოგმა სოფელმა ყოფილი მესაკუთრეებიც დაიხმარა; არიქნა, უბედურმა გლეხებმა თავი ვერ დააღწიეს მათ. მიხეილ თომას ძე დიდიამ ბანკის გამგეს სთხოვა თავის საკუთრების დაბრუნება და თან 2000 მან. (ნახევარი გლეხებისაა) წარადგინა, რის გამო მარტო მისი მამულის ფასმა რამდენიმე ათასით აიწია. დროა ბოლო მოეღოს ასეთ საზიზღარ მეტოქეობას. 2,000 მან. ლეხოურლების და ნაკაშიძის, 30,000—40,000 მანეთი გულეიკარელებისა და ჰკუასელი—დოლიძის წყალობით მოაკლდა უმისოდაც გაძვალტყავებულ გლეხობის ჯიბეს. როგორც გავიგეთ, მ. დიდია იმ აზრით ფიქრობს მამულის უკან გამოყიდვას, რომ აწეულ ფასებში გადასცეს გლეხებს...

ზემოჩამოთვლილ 4957 დესიატინიდან გურიაში დღევანდლამდის არის გაყიდული მხოლოდ 1669 დეს. დარჩენილია 3288 დეს. თუ ასე წავიდა საქმე, ხალხი უმისოდაც ქონებრივათ მიწასთან გასწორებული, მთლათ გაღატაკდება, გადაშენდება.

იმ ფასებს, რომლებშიაც ბანკს დარჩენია მამულები 1908 წლის 1 ნოემბრამდის, გამოყიდვის დროს კიდევ უმატებენ 15—25 პროც., რომელიც გამოწვეულია მოურავების ჯამაგირით და სესხის (ссуда) პროცენტებით.

ამნაირათ, დღეს ქცევა მიწა 80—135 მ. ჯდება. ფასების შემცირების მოლოდინი ტყუილი ოცნებაა: ცალი მხრით ბანკის პროც., მეორეს—სოფლების ერთმანეთში მეტოქეობა საზღაპრო ფასებში აყიდვინებს ბანკს მამულებს.

მიწების გამოყიდვა შემდეგ პირობებში ხდება: თავდაპირველათ მყიდველმა მეოთხედი (25 პროც.) ფასისა უნდა შეიტანოს; მას მაშინათვე აძლევენ ნასყიდობის ქაღალდს, რომელიც ჯდება დაახლოვებით 5 პროც. მხოლოდ თუ მამულს საგლეხო ბანკის საშვალებით გამოიყიდიან, დამტკიცების ხარჯი (5 პრ.) აღარ სჭირია და სესხსაც უფრო ხანგრძლივი ვადით იძლევიან. ფასის სამი მეოთხედი მყიდველმა უნდა მისცეს ათი წლის განმავლობაში ოთხ-ოთხი პროცენტით.

მარტო მიწის გამოყიდვა არ არის საკმარისი. მას ესაჭიროება გონივრულათ დამუშავება. დროა მივხვდეთ, რომ ჩამოთვლილ მიწებზე ტროპიკული მცენარეები საუცხოვოთ ხარობენ. თუ ქცევა, სიმინდის სახით, იძლევა 60—70 მანეთამდის, იგივე მიწა უმაღლესი კულტურის გაშენებით შემოიტანს 600—700 მანეთს. ეს კარგათ ქონდა გათვალისწინებული „ახალშენელებს“ და ვნახოთ, რას ეტყვიან მათ ლეხოურ-მაკვანეთლები. გაჰყვებიან ისინი სხალაძე-სურგულაძეებს თუ არა, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

—

ფასების აწევის წინააღმდეგ შემდეგი ზომაა საჭირო: მიწის გამოსყიდვის მსურველმა ბანკთან მოლაპარაკებისთანავე უნდა შეიტანოს 10—12 პროც. და აუცილებლათ პირობას (условіе) ხელი უნდა მოაწეროს. რაც შეეხება მიწების სამართლიანათ დაყოფას სოფლებს შორის, ეს შემდეგ უფრო იოლი საქმეა.

კრეპკიძე.

# პროვინცია

**ფოთი.** 20 იანვრიდან 20 თებერვლამდე სახადით ავათ გამხდარა 46 კაცი. მომკვდარა 9, მორჩენილა 7. დანარჩენები ავათ არიან.

— 22 თებერვალს ღამით სასტუმრო „ფრანციაში“ ვიღაც მთვრალმა რამდენჯერმე რევოლვერი გაისროლა და შემდეგ გაიქცა. მას გამოუდგა დარაჯი; ბოროტ-გამზრახველი მოუბრუნდა და რევოლვერი ესროლა. ტყვია დამის დარაჯის რევოლვერის ბუდაში მოხვდა და დაუმტვრია. მეორე ტყვიით ბოროტმოქმედმა ფეხში დაჭრა დარაჯი და გაიქცა. გზაზე დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

— 23 თებ. გაიხსნა გურია-სამეგრელოს სამღვდელოების მორიგი ეპარქიალური სიეზდი. სიეზდმა აირჩია თავმჯდომარეთ დეკანოზი არისტ. კალანდარიშვილი. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ უთვლად სამღვდელო ლეონიდემ მიმართა სამღვდელოების სიეზდს სიტყვით, რომელშიაც მან უსურვა სიეზდს მისი მუშაობა ნაყოფიერი ყოფილიყოს და გატარებულიყოს ცხოვრებაში. სხვათა შორის უთვლად სამღვდელო შეეხო რა სამღვდელოების პრესტიჟის დაცემას, სთქვა: „ამის მიზეზია ის ურწმუნოება, რომელიც თან დაჰყვა ჩვენში ეგრედ წოდებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. ჩვენი მღვდლები, რომლებიც არ ასწავლიან ხალხს (მრევლს) იმ საგნებს, რომლებიც მათთვის აუცილებელი და საჭიროა, მით კვერს უკრავენ და საბაბს აძლევენ იმ პირებს, რომლებიც გამოსულან ხალხში და ხმამაღლა ყვირიან: „სამღვთო სჯული მღვდლების მოგონილი ზღაპარიაო“. მოიპოვებიან ჩვენდა სამწუხაროდ ისეთი მღვდლები, რომლებიც მთელ დამეებს ქაღალდის, ნარდის თამაშში და ქეიფში ატარებენ დროს. აბა მითხარით, რომელ პროპაგანდისტს შეუძლია ამაზე მეტათ აუგ-რუოს ხალხს გული სარწმუნოებაზე?! ამის შემდეგ რა შუაშია პროპაგანდისტები, როცა ჩვენ მათ დაპარაკის საბაბს ვაძლევთ!“ და სხვ. უთვლად სამღვდელომ სიტყვის დასრულების შემდეგ აკურთხა სიეზდი. სიეზდი შეუდგა კითხვების გარჩევას, მაგრამ ის დროებით შესწყდა, რადგან წინადადება შევიდა, რომ ახლად დანიშნულ ეგზარხოსს სიეზდმა დეპეშა გაუგზავნოსო. გაგზავნილ იქნა დეპეშა, რის შემდეგ კრება შეუდგა მორიგ კითხვებს.

პირველად სიეზდს მოხსენდა ანგარიში სამარხი კასის. კასისა წევრებათ მდგომარე წლის 1 იანვრამდე ყოფილა 889 პირი. წლის განმავლობაში დახარჯულა 3344 მ. 44 კ. დარჩენილა ფულად 2727 მ. 76 კ. შემდეგ მოხსენდა კრებას (გასული წლის სიეზდს არჩევია კომისია) წესდების პროექტი. ის განხილულ იქნა და ცოტაოდენი ცვლილებებით მიიღეს. საერთოდ წელს დელეგატები ნაკლები გამოცხადდენ. სიეზდზე ყოველი კითხვა თითქმის ჩვეულებრივათ დიდ ხმაურობას იწვევდა მსმენელს არ შეეძლია არაფრის გაგება. როცა ერთი აიღებს სიტყვას, ბევრი სხვები უცვინდებიან, ასეა თითქმის ყოველ კითხვაზე. ასე იყო მარშანაც. ეს კრების წესების უცოდინარობით და საერთო ჩამორჩენილობით აიხსნება. ამის გამო კრებები ჭიანურდება და ბევრი დრო სულ ტყვილად იკარგება. სულიერ მამებს ვერ შეუგნიათ და ან არ სურთ შეიგნონ, რომ კრებაზე საჭიროა წესრიგი. ამ ანბანურ ჭეშმარიტების არ მცოდნეს, ან არ შემსრულებელს როგორ შეუძლია იმ გავლენის მოპოება, რომლითაც ჩვენი სამღვდელოება დაცემულ პრესტიჟის აღდგენას აპირებს?! ასეთია საერთო შთაბეჭდილებები.

—

**სოფ. ხაშმი.** ხაშმელი გლეხობაც მოისწრაფოდა განმათავისუფლებელ მოძრაობისკენ. ჰმართავდენ თავიანთ ადგილობრივ საქმეებს, მოაწესრიგეს სასწავლებლები, ბიბლიოთეკა, თეატრი და სხვა, მაგრამ ყველა ამ კეთილ საქმეს დროთა ვითარების გამო ფერი ეცვალა. ახმაურდენ შავ-ბნელი ელემენტები. იგდეს ხელში ხალხის მართვა-გამგეობა, გულუბრყვილო გლეხობამ ჩააბარა თავიანთი სვე-ბედი მამასახლისს, მწერალ-სბორჩიკებს და მოხელეებს, რომელნიც როგორც უნდათ ისე ატრიალებენ ხალხს. შეადგინეს რეაქციონური ორგანიზაცია, ჩაჰკიდეს ერთმანეთს მჭიდროთ ხელები და იმედია უბრძოლველათ არავის-და დაანებებენ წინათ მათგან ვე დაგმობილ მოხელეობას. ესეც არ აკმარეს ისედაც ტყავ-გაძრცვილ გლეხობას და მთავრობის მამასახლისები და სტრაჟნიკებიც დაუნიშნეს. ხალხი უკიდურეს მდგომარეობას განიცდის, მაგრამ ხმის ამომღები ვინ არის. არ იციან ვის შესჩივლონ თავიანთი გაჭირვება, ვის სთხოვონ შველა-დახმარება...

ხაშმელი ჩაქუჩი.

—

**კულაშის საზოგადოება.** 21 თებერვალს მოხდა სარწყავი წყლის მეთვალყურის არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო: კულაშის, ჭაგანის და დანირის საზოგადოების ნაწილს (ნაწილს იმიტომ მოგახსენებთ, რომ მთელ საზოგადოებას არ აქვს წილი წყალში) ამიტომ რაკი სამი საზოგადოება იყრიდა ერთათ თავს, უნდა აერჩიათ შუა ადგილი. კრების ადგილის დანიშვნის უფლება ქონია საბჭოს წევრებს და მიკვირს რათ დაუშვეს ასეთი შეცდომა, რომ ვერ გაუგიათ თუ რამდენი მანძილია ხონსა და სამტრედიაშუა. კრებას არ დასწრებია არც დანირი, არც პატარა ჯიხაიში და არც ჭაგანი მთელათ, რისთვისაც დიდ უკმაყოფილებას აცხადებს დღეს ხალხი.

არჩევნები გათავდა, აირჩიეს ცნობილი მოიჯარადრე დაბა ხონსა და სამტრედიის შორის მელიტონ რუხაძე, რომლითაც საზოგადოებამ დაამტკიცა თავისი მოუმწიფებლობა.

ან—შვილი

## საზოგადოების საყურადღებოთ.

—

როგორც შევიტყეთ, ... ზოგიერთი ... ბი დაიარებიან ოჯახებში და ... არჩევენ ხელში ქართული წარმოდგენის ბილეთებს ავლაბრის სცენის-მოყვარეთა სახელით, ვითომდა წარმოდგენასა მართავენ საქველ-მოქმედო მიზნით. ამ უკანასკნელადაც ვიღაც ქალბ. კანდელაკის და ბ. მაჰვარიანის გვარით მისულან ალალო თუთაევთან და ფული გამოურთმევიათ.

კიდევ ერთხელ აუწყებს საზოგადოებას ავლაბრის დრამატიული ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობის დასი, რომელმაც ეს ერთი ხანია შეაჩერა წარმოდგენების მართვა ავლაბრის თეატრში დირექციასთან უთანხმოების გამო, რომ ამ დასს არავითარი წარმოდგენა არ გაუმართავს საქველ-მოქმედო მიზნით გარდა ნ. მ. გაბუნია ცაგარლის იუბილეისა და არც შემდეგში აქვს აზრათ ამგვარი წარმოდგენის გამართვა. ამ დასის ერთად-ერთი მიზანია მხოლოდ ავლაბარში მართოს სახალხო წარმოდგენები. ჩვენ მიერ გამართულ ქართულ წარმოდგენების ბილეთების ხელზე გაყიდვა ამხანაგობას სრულიად აკრძალული აქვს და ვისაც ბილეთის ყიდვა ჰსურდა, დღევანდლამდე მხოლოდ თეატრის კასაში ყიდულობდენ და დღეის შემდეგაც, თუ კიდევ განვაგრძობთ წარმოდგენების მართვას, მაშინაც ამნაირათ გაიყიდება ბილეთები.

თუ შემდეგში კიდევ ვინმე აღმოჩნდება, რომ ბილეთებს ხელზე ჰყიდდეს ძალათ, რათა საზოგადოება კიდევ არ შევიდეს შეცდომაში, ვაცხადებთ, რომ ის პირნი ჩვენ დასს არ ეკუთვნიან. იგინი ვიღაც მაწანწალები არიან, რომელთაც წარსული ოთხი წლის განმავლობაში მოსვენება არ მისცეს ავლაბრის მცხოვრებთ ბილეთების ძალით მიყიდვით. ეს ვაჟბატონები უფრო შანტაჟისტები არიან, ვიდრე სცენის-მოყვარენი.

ავლაბრის ქართ. დრამატ. ხელოვნ. მოყვარეთა ამხანაგობის გამგეობის წევრი

**ი. მჭედლიშვილი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ მადლობა გამოვუცხადოთ თქვენი გაზეთის საშვალებით „ახალი სხივის“, „დროების“, »ზაკავკაზიეს«, „მშაკის«, „მარცვალის“, »ფონის«, „განათლების“, „თეატრი და ცხოვრების«, «სხივის», „ჩვენი ნაბიჯის«, „გოლოს კავკაზას“ და „ბაკინეცის“ რედაქციებს, რომლებმაც არ დაიშურეს უფასოთ დათმობა თავიანთი გაზეთებისა. ამასთანავე უღრმეს მადლობას ვუცხადებთ: ნიკო ბექუაშვილს, რომელმაც გამოგვიწერა: „რუსკოე სლოვო“, „ბირჟევია ვედომოსტი“, „პრიროდა ი ლიუდი« და »ისკრა“. პეტრუს დანდუროვს, რომელმაც გამოგვიწერა »ტიფლისკი ლისტოკ« და წიგნები შემოგვწირა 8 მან. ღირებული და «ნივა» ერთი წლის. ილაკო ისაკაძემ წიგნები 1 მ. 60 კ, ალექსი მაისურაძემ 1 მ. 85 კ. წიგნები. ნიკოლოზ პეტრუსოვმა 2 მ. 50 კ. წიგნები. ლეონიდ გრიგორიევ 40 კ. წიგნები. გიორგი გოგაძემ 80 კ. წიგნი. რუბენ არუტუნოვმა 2 მან. ღირებული წიგნები. ანტონ თხელიძემ წიგნები სადგურ ბალაჯარიდან 6 მ., ამხანაგობა „ობოროტმა“ სხვადასხვა ნივთები 6 მან. 25 კ. ღირებული. გიგო ქამიეროვმა უფასოთ დაგვიხატა ვივესკა. ივანე ფილიპოვმა 1 მ. წიგნი. პავლე სემენოვმა 1 მ. წიგნი. ანდრია ხარაბაძემ 1 მ. 50 კ. წიგნები. რივკინმა 13 მან. წიგნები და 2 მ. ყდებისთვის. მათე დემჩენკომ 2 მ. წიგნები. პავლე სიმონოვმა 50 კ. წიგნი.

ვსთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

გამგე ალ. თუთაევი.

სამზრუნველო: ალ. ვაშაკიძე, ნ. ოკუჯავა, ნ. გიორგაძე, ვასო ღარიბაშვილი და ივ. კავალიოვი.

—

რადგან შეძლება არა მაქვს მადლობა უძღვნა ყველას, ვინც პირადის ნახვით, ან დეპეშით და წერილით თანაგრძნობა გამომიცხადა ჩემზე თავდასხმის გამო, ამიტომ ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის შემწეობით გამოვუცხადო მათ გულწრფელი მადლობა.

ალექსანდრე მილოვი.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

განცხადება

კბილის საექიმო კაბინეთი

იოხველისა

(„გაუფრთხილდით კბილებს“ის ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით. (100—26)

*) ზოგან დღესაც აძლევენ მიწის მუშები მეპატრონეებს 35 მანეთს ქცევაში.

*) ამნაირათ გურიის მემამულეებს ნახევარი მილიონი ჩაუსანსლიათ, ეხლა კი გაჰკივიან გლეხების მიზეზით დავღუპეთ მამულები. მიუხედავათ ამისა, ისინი მემამულეები კიდევ ცდილობენ გლოჯობის მოტყუილებას.

სტამბა „შრომა“, რუსის ქ. №3.